

დმიტრი თუმანიშვილი

ჯვრის ხატება სამთავისის ტაძრის კედელზე

"თამარის ხანის", XII-XIII საუკუნეთა ქართული ტაძრების მხილველთ, უთუოდ დაამახსოვრდებოდით იკორთას, ზეთანას, ქვათახევის და სხვათა აღმოსავლეთის კედელზე, საკურთხევლის სარკმლის თავზე მკლავებგანაპრობილი დიდი, დაჩუქურთმებული ჯვრები. ეკლესიის წმიდათაწმიდის სიახლოვეს ქრისტიანული სარწმუნოების უმთავრესი ნიშნის გამოხატვა საესებით ბუნებრივი რომაა, ამას მტკიცება არ ესაჭიროება, მაგრამ, მოუხედავად ამისა, ტაძრის გარე კედელზე გამოქანდაკებული ჯვარი საქართველოს გარეთ იშვიათად გვხვდება და არც ჩვენში გამოისახებოდა მუდამ. ჩვენს მეცნიერებაში გამორკვეულია, რომ იმგვარი "ნიში ჭუარისაჲ" როგორსაც ერთიანი ფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრება იცნობს, 1030 წლის სამთავისის საყდრის აღმშენებელმა შექმნა /ივარაუდება, რომ იგი უნდა ყოფილიყო სამთავისელი ეპისკოპოსი ილარიონი, გვარად ყანჩაველი/. მან, როგორც ძველად იტყვიან, "შოასიზრძანა" ჯვრის "აღმართა" ლილვების კონაზე; იგი ქვერიდან, შენობის ქვის ხარისხიდან იწყება, შეუმრდება საკურთხევლის სარკმლის მოსარჩობას, კვლავ ამოიზრდება მისგან და ჯვრის კვარცხლობებს შემოხაზავს. ასე რომ, საკუთრივ უზარმაზარი ჯვარი მაღალ "საყრდენზე" დამყარებული და ჩვენი თვალისთვის ღამის ტაძრის მთელ სიმაღლეს უთანაბრდება. ეკლესიის ამ კედლის დანარჩენი უხვი სამკაული /სამკობი თაღები, ჩუქურთმა და ა. შ. / მის ირგვლივ იყრის თავს და ასე წარმოიქმნება ჯვრის თავისებური "განდიდების" ხატი, რომლის ბადალი, გერმანელი მეცნიერის ფ. ვ. დიხშანის აზრით, არც იცის ქრისტიანულმა ხელოვნებამ.

შუალა ჯვრის თანხლებს მისარაგ გამოისახულებათა შორის ყველაზე საყურადღებოა მოსარიავ თაღებს გამომშული "სამყურები". მათი აზრი თანამედროვე ადამიანს თავიდანვე არ ეხსენება, არადა, სწორედ ისინი მიგვახვედრებენ ამ მისაარსს, რომლის გარეშე, საუკუნოვლი, ვერც შეიქმნებოდა ეს გამოხატულება. პროფ. ლ. რაქელიშვილის გამოარკვევა, რომ ისინიც ჯვრებია და, ამგვარად, სამთავისის აღმოსავლეთის ფასადზე სამი ჯვარი


ყოფილა გვერდიგვერდ გამოკვეთილი. მკვლევარმა ისიც აჩვენა, თუ რა წინასახეები ჰქონდა ამ კომპოზიციას, რაგვარმა წინაღობინდელმა მაგალითებმა მისცეს ზიცი სამთავისელი მღვდელმთავარ-ხუროთმოძღვრის ამ თეოლოგიურ მხატვრულ იდეას.

ერთიმეორის გვერდზე გამოსახული სამი ჯვარი აღრიდანვეა ცნობილი საქრისტიანოს ხელოვნებაში და მარტივი სახით იგი ადვილად "ამოიკითხება", ვისარცა გოლგოთის აღმნიშვნელი - ე. ი. შუათანა ჯვარი ვნებული მაცხოვრის სახებაა, კედლებზე კი - მის თანა დასჯილი ავაშაკების ჯვრებია. აღრვე შემოსულა ეს გამოსახულება ჩვენშიც - მას ვხედავთ უკვე V საუკუნის მიწურულის ზოლნისის სიონის ჩრდილოეთის სტოას ერთ-ერთი სვეტის თავზე აქედან მოყოლებული იგი მრავალგზის მოუხშიათ ქართველ ოსტატებს ხატად უფლისად, ქრისტიანული მოძღვრების მაუწყებელ-განმაცხადებლად. დროთა განმავლობაში "სამი ჯვარი" სხვადასხვანაირად გადმოიკეზოდა და, შესაბამისად, სხვადასხვაგვარად გაიგებოდა კიდევ: ზოლნისის და უფრო მოგვიანებითაც, მაგ. VIII საუკუნის თელოვანის ჯვარაპტიოსნის კარის ბლუდარზე სამ ერთნაირ ჯვარს ვნახულობთ, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი მხოლოდ ადგილმდებარეობით ამოიცნობა. გამოშქანდაკებული თითქოს გვეუბნებაო: "აი - გოლგოთა", და სხვა ყველაფრის გახსენებასა და მოფიქრებას ჩვენ გვანდობს. მომდევნო საუკუნეთა ხელოვანნი ცდილობენ, საზრისი თვითონვე ნათელაჰონ - შუალა ჯვარი ზომითაცაა გარდილი და არა მხოლოდ შუაშა, არამედ ხშირად დანარჩენებზე ბევრთაც /ქვაბისხევი, გველდერი, თონეთი, ბზიფი და ა. შ. / ეს იმის გამო ხდება, რომ IX-X საუკუნეებში ჯვრებს, როგორც წესი, საკურთხევლის სარკმლის თავზე ათავსებენ და თავსართზე ამჯუნენ - მის თაღოვან შუა ალაგას მაცხოვრის მსახველი ჯვარია, აქეთ-იქით კი, თაღის ზოლოვნიდან გამოსულ წრფივ მონაკვეთებზე - კიდურა ჯვრები. კიდევ უფრო შორს მიღის გურჯაანის ყველაწმინდის /VIII საუკუნე/ ამგები დიდებული ხუროთმოძღვარი

- მასთან ჯერები სამ - საკურთხევლისა და მის თანხლებს სადგომთა - სარკმლებზე ნაწილდება, შუათანა კი გაცილებით დიდია სხვა ორზე. მაგრამ მისი ცლა თანამედროვეთ არ აუტაცნიათ, ასეთ გზას X საუკუნის მყორე ნახევარშია დაადგინენ - ასეა კუმურდოში /964 /, ასეა ხელისში /1002 /, უფრო მოკრძალებულად - ცხვევის ბერის-საყდარში. სამივეგან ჯერებს სხვადასხვა ხუროთმოძღვრული სამკაულებიც ახლავს. მათ სათითაოდ იწებ არც პქონდეთ რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობა, - დღეს ჩვენ ამაზე დაბეჭდვით არაფერი ვიცით - მაგრამ მთლიანობაში ისინიც აწმობენ თავის კუთვნილ სიტყვას: კედლებზე განთავსებულ ჯერებს თითქოს გარემოს უქმნიანო, ხატოვნად რომ ვთქვათ, შორისდებულებითა და ეპითეტებით ამკობენ მათ.

ასეთი იყო ილარიონ სამთავნელის ამოსავალი. ოლონდ მან ჯვარი - ქრისტე კიდევ მეტად გამოაჰყო, მის ირგვლივაც მეტი მოსართავი მოათავსა, ზემორე შედარებას თუ მივყევით, მისი ხოტბა უფრო სიტყვაზე გახდა. მისი ჩანაფიქრის გასაგებად კიდევ ერთი რამაცაა საგულისხმო - ჯერის ლილვოვან საყრდენზე ქვემოთ, სარკმლის ქვეშ, გამოხბულია კუთხებზე შეყენებული კვადრატები /მათ ჩვეულებრივ, პირობითად, "რომზებად" იხსენიებენ/. იტალიელი მკვლევარის ად. ალარგო ნოველოოს დაკვირვებით, ისინი უკვდავება - მარადისობის ნიშნებია; თუ მათ ჯვართან ერთად წავიკითხავთ, გამოგვივა "ჯვარი მარადისობით შემოსილი", ე.ი. ძელი ცხოვრებისა, უფრო ზუსტად კი "ხე ცხოვრებისა".

ჯვარი რომ კაცთა მოდგმას ცხოვრება-სასუფეველის მომნიჭებელ ხელ მოეწვინა, ქრისტიანულმა აზროვნებამ მტკიცედ იცოდა - "ესე არს" - იტყვის მაგალითობრ, უფლის საფლავის ტაძრის შესახებ წმ. იოანე დამასკელი "ედემს, ესე არს ხე ცხოვრებისა, სანატრელი ჯვარი". ძველ საქართველოშიც იგი რომ ასევე ესმოდათ, ქართული ხელოვნების ნაწარმოებები გვემოწმება. ბოლნისის სიონის ბემოხსენებული სვეტისთავი ნაწილია სტოას სამკაულისა, რომელიც ძირითადად ხეთა და მკენარეთა ანუ ცხოვრება - სასუფეველის გამოსახულებათაგან შედგება; ამრიგად, ჯერები სამოთხეშია აღმართული ამ სიტყვის ორსავ აზრით /ძველქართულად ხომ "სამოთხე" ბაღს, მტკილს ნიშნავდა/. გაფთილილი, როგორც იტყვიან, "განედლებულია" ჯერის ქვედა ბოლოები ბერის - საყდარსა და ხელისში, რაც, აგრეთვე მისი მაცხოვრებელი ძალის მიმანიშნებელია და სამოთხეში "დანერგულ" ხესაც მოგვაგონებს.



სამთავნელი დიდოსტატი არც ედემს გვისურათებს და არც ფრთხილა, "ზმადასალი" მითითებით კმაყოფილდება. იგი აქანდაკებს გოლოტთაზე აღმართულ ჯვარს, მაგრამ მხატვრული საშუალებებითა თუ სიმბოლოთა დართვით წარმოგვიჩენს მის ქემშარიტ მნიშვნელობას; საკურთხევლის მკველად იგი აღაპყრობს ძელს ქემშარიტსა და ცხოველმყოფელს, საქურველს, სიქაღულსა და სასოს ქრისტეანეთას.